ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

ოქმი:ო135. 13523275001
თარიღი:02/10/2023

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი №-9

დ. მესტია 29.09. 2023წ

<u>სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:</u> მ. ჯაფარიძე, ზ. ჩართოლანი, ა. რატიანი, ბ. კვიციანი, გ. გიგლემიანი, გ. დადვანი, დ. გვიჩიანი, ზ. ხარძიანი, თ. დადეშქელიანი, ლ. პირველი, ლ. ჩარკვიანი, მ. პაკელიანი, მ. ხორგუანი, შ. რატიანი, ლ. ქალდანი. შ. ცინდელიანი, რ. გვარმიანი, კ. გუჯეჯიანი.

<u>სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ:</u> ბ. ნაკანი, გ. გელოვანი, გ. ხვისტანი,დ. ჯაფარიძე, ვ. ჭკადუა, ზ. ჯაფარიძე, ზ. ფალიანი, ვ. ფილფანი, ი. გირგვლიანი, ი. რატიანი, ლ. პაკელიანი, მ. კვანჭიანი, მ.რატიანი, შ. გულედანი, მ.გელოვანი,

<u>სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი თ. ნავერიანი;

<u>სხდომას თავმჯდომარეობდა</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჯაფარიძე.

<u>სხდომის მდივანი:</u> მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების მთ. სპეციალისტი გ. ფალიანი.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის მიხედვით სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 33 წევრიდან 17 დეპუტატი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიესალმა და გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. „მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/მომხსენებელი: თ.ნავერიანი. თანამომხსენებელი: რ.გვარმიანი./

2. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესი"მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 1 სექტემბრის N 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი: შ.ცინდელიანი./

3. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ''.

/მომხსენებელი: შ.ცინდელიანი./

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ეყაროს კენჭი ,,მესტიის **მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ"**. წარმოდგენილი რედაქციით.

მომხრე----------17

წინააღმდეგი------
თავი შეიკავა-------
კენჭისყრის შედეგად საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

საკრებულომ დაადგინა: მიიღონ განკარგულება `მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის **31 აგვისტოს** სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ".

განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება № გ-135. 135232721 **თან ერთვის)**

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა თ. ნავერიანმა „მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო სამართლებრივი შენიშვნა მე-19-ე დადგენილებაზე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელდა, რა დროსაც გამოვლინდა შემდეგი ხარვეზი: კერძოდ, მიმდინარე წლის ბიუჯეტის 06 06 კოდით დაფინანსება გათვალიწინებულია ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამისთვის, რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა წინამდებარე დადგენილებით. ამდენად, მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი და განსახილველი დადგენილებით დამტკიცებული პროგრამა უნდა მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში, ვინაიდან სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტი. შესაბამისად, პროგრამების განხორციელების წესი, მათ შორის, სოციალური დახმარების სახე და ოდენობა, ბენეფიციართა წრე და დახმარების მიღების პირობა, ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ბიუჯეტის ანალოგიურ პროგრამას და არ უნდა სცდებოდეს მას. ხარვეზი გამოსწორებულია და დადგენილების მე-14 მუხლში, 06 -06 ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

06 06	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამა	10.00	40.00	0.00	40.00

აზრი გამოთქვა: რ. გვარმიანმა--კომისიამ სამსახურის უფროსთან ერთად იმუშავა ხარვეზების გამოსწორებაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს

წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------17

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ---- ზ. ჩართოლანმა

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, „მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მიღებული იქნა დადგენილება:
(დადგენილება № 21 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესი"მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 1 სექტემბრის N 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელმა წარმოადგინა სამართლებრივი შენიშვნა კერძოდ: განსახილველი დადგენილების სათაური არ არის სრულყოფილი და მართებულია, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე".

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა:

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------17

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას დადგენილება, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების, ქალების, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესი"მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 1 სექტემბრის N 19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მიღებული იქნა დადგენილება:

(დადგენილება № 22 თან ერთვის)

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე მოხსენება გააკეთა შ. ცინდელიანმა ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო დამსწრე საზოგადოებას მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა. მერიის და საკრებულოს ერთობლივ საქმიანობაზეა დამოკიდებული მუნიციპალიტეტის წინსვლა. სამუშაო გეგმა შედგენულია კომისიის თავმჯდომარეების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს განიხილონ აღნიშნული საკითხი და გამოთქვან მათი მოსაზრებები.

აზრი გამოთქვა: მ. ჯაფარიძემ--საკრებულოს წევრებს სთხოვა უფრო აქტიურად ჩართულიყვნენ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყაროს წარმოდგენილ წინადადებას.

მომხრე ----------17

წინააღმდეგი -----

თავი შეიკავა ----

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს: მიღებული იქნას განკარგულება. ,,მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის II კვარტლის ბიუჯეტის გეგმის შესრულების ანგარიშის შესახებ''.

მიღებული იქნა განკარგულება:
(განკარგულება № გ-135. 135232722 **თან ერთვის)**

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილული იქნა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი